



## სსიპ ახალგაზრდობის სააგენტო



KA000071733598720

თბილისი

№ 77/ს

23 / მარტი / 2020 წ.

### ქვეყანაში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პროცესების გათვალისწინებით, ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსთან დაკავშირებით საგამონაკლისო წესების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს N411 დადგენილების მე-2<sup>2</sup> მუხლისა და ამავე დადგენილებით დამტკიცებული სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ 2020 წელს განსახორციელებელი საგრანტო კონკურსის ჩატარების მიზნით, ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის პროგრამის ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის არსობრივი ნაწილის, გრანტების გაცემის წესის და საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის 2020 წლის 12 თებერვლის N26/ს ბრძანების, სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის 2020 წლის 21 თებერვლის N51/ს ბრძანების, ასევე სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილის, ქრისტინე კაპანაძის 2020 წლის 18 მარტის N02/221 და ამავე სააგენტოს უფროსის მოადგილის ვახტანგ ბააკაშვილის 23 მარტის N02/225 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:


1. ქვეყანაში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული პროცესების გათვალისწინებით, სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, გამონაკლისის სახით, განცხადების წარდგენის უფლება დამატებით მიეცეთ ფიზიკურ პირებსა ან/და საინიციატივო ჯგუფებს;
2. საგრანტო კონკურსის ფარგლებში, ფიზიკური პირის ან/და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადების განხილვა და შეფასება განახორციელოს მხოლოდ საგრანტო პროექტების განხილვის ექსპერტთა კომისიისამ;
3. ფიზიკური პირის ან/და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საგრანტო პროექტის გამსვლელი ქულით შეფასების შემთხვევაში, განმცხადებელი ვალდებულია, საგრანტო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, დააფუძნოს ახალგაზრდული ორგანიზაცია, იმ წესების დაცვით რაც განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში გრანტების გაცემის წესის და საგრანტო კონკურსის დებულების მე-2 მუხლის (დ) ქვეპუნქტში და ამ ფორმით განაგრძოს კონკურსში მონაწილეობა;
4. წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოდგენილი საგრანტო პროექტის განუხილველად დატოვების საფუძველია. აღნიშნული მოქმედებაზე გავრცელდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ახალგაზრდობის სააგენტოს მიერ ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში გრანტების გაცემის წესის და საგრანტო კონკურსის დებულების მე-15 მუხლის მე-2; მე-3; მე-4; მე-6; მე-8 პუნქტები;
5. შევიდეს ცვლილება სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელის 2020 წლის 21 თებერვლის N51/ს ბრძანების მე-2 პუნქტში და ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის მონაწილეთა შესაბამისი საგრანტო პროექტების მიღების ვადა გაგრძელდეს 2020 წლის 10 აპრილის 18:00 საათამდე;

6. დაევალოს სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული პირებისთვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა;

7. წინამდებარე ბრძანება, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6);

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ-ის „ახალგაზრდობის სააგენტო“  
სააგენტოს ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/  
შტამდასმულია   
ელექტრონულად

რევაზ ჩარკვიანი